

Christmas in Georgia

Georgian transcript:

დღეს მინდა რომ ვისაუბროთ საქართველოს საეკლესიო დღესასწაულებზე.

დიახ.

როდის იყავი ბოლოს საქართველოში?

საქართველოში ბოლოს ვიყავი იანვარში. 31 იანვარს... 31 დეკემბერს ჩავედი და თითქმის მთელი იანვარი იქ ვიყავი, ანუ ახალ წელს და შობას შევხვდი საქართველოში. ჩვენ შობას ავლნიშნავთ 7 იანვარს, რადგან საქართველო არის მართლმადიდებელი ქვეყანა და საშობაოდ ზოგადად ... ანუ¹ საქართველოში შობა ძალიან განსხვავებულად აღინიშნება ვთქვათ, ამერიკასთან და ევროპასთან შედარებით, რადგან საჩუქრებს და ... საჩუქრებს ერთმანეთს ვჩუქნით უფრო ახალ წელს. შობა არის უფრო ეკლესიური დღესასწაული. ანუ 6 იანვარს ძირითადად ხალხი მიდის ეკლესიაში და ხვდება შობას ეკლესიაში 12 საათზე და ზოგი დილის 6-მდე, 7-მდე ეკლესიაში რჩება. და, თუ ვთქვათ ღამე ვერ მოახერხე ეკლესიაში წასვლა, მიდიხარ უკვე... შვიდში მიდიხარ ეკლესიაში, ანთებ სანთელს. და ასევე არის ოჯახური დღესასწაული. ნუ აი, იგივე... ეგ არის ისეთი ნიუანსი ვთქვათ რაც ამერიკაშიც არსებობს, რომ ოჯახი იკრიბება ერთად და ერთად სადილობს და ძირითადად მაინც უფრო დიდი აქცენტი არის რელიგიაზე და ოჯახზე და უფალზე შობის დღეს.

ძალიან კარგი. ვთქვათ, როგორ გაატარე შენ ეს ბოლო შობა?

მე 6 იანვარს წავედი სამებას... სამებაში. სამების ეკლესიაში ჩემს მეგობრებთან ერთად. და წავედით სადღაც 11 საათისთვის და უკვე ძალიან ბევრი ხალხი იყო. მთელი ეკლესია იყო გადატენილი. საერთოდ სამება არის საქართველოში ყველაზე დიდი ეკლესია და ისეთი სავსე იყო, რომ შიგნით ვერც კი შეხვიდოდდი და გარეთაც ძალიან ბევრი ხალხი იდგა. სადღაც 12 საათი რომ გახდა და უკვე პირველი რომ დაიწყო, მოვიდა პატრიარქი და შემდეგ უკვე პატრიარქი... ეს... სამების ეკლესიაში არის ძალიან ბევრი კიბე და იმ კიბეებზე აიარა და შემდეგ შევიდა თვითონ ეკლესიაში და დაიწყო წირვა. და ჩვენ ვერ მოვახერხეთ სამწუხაროდ შიგნით შესვლა ეკლესიაში იმიტომ, რომ ძალიან ბევრი ხალხი იყო. ზოგადად ეკლესიებში გარეთ ესეთ დღესასწაულებზე ზოგადად ძალიან ხალხმრავლობაა და გარეთ აყენებენ

¹ The word ანუ is directly translated as “or,” but in colloquial Georgian it is used as “like” or “so” is used in English. In this context, it doesn’t really hold a specific meaning and is more of a filler word.

ხოლმე დინამიკებს, რომ ვთქვამთ ეზომიც თუ დგას ხალხი იმათაც გაიგონ ყველაფერი. სამწუხაროდ საშობაოდ არ იყო ეს დინამიკები მარა² მაინც გვესმოდა ვთქვამთ რაღაც გარკვეული ლოცვები და ასე შემდეგ და ... ძალიან შესანიშნავი დღესასწაულია შობა და საქართველოში ძალიან განსაკუთრებულად აღნიშნავენ ამ დღეს. სამებაში რომ მივდიოდით შობა დამეს, ტაქსმა ჩამოგვსვა ავლაბრის მეტროსთან, იმიტომ რომ ძალიან ბევრი ხალხი იყო ეკლესიაში და გზები იყო გადაკეტილი, იმიტომ რომ მანქანებს ვერ უშვებდნენ ფიზიკურად რა. და მოგვიწია ფეხით ასვლა და ძალიან საინტერესო და შესანიშნავი სანახობა იყო, რადგან მთელი ზღვა ხალხი მიდიოდა ყველა სამებაში. და ძალიან ბევრი ხალხი იყო და ძალიან განსაკუთრებული განწყობა იყო. შვიდში უკვე გვქონდა საშობაო საოჯახო სადილი.

English Translation:

I: Today I want to talk about Georgian religious celebrations.

R: Yes.

I: When were you last in Georgia?

R: I was last in Georgia in January. January 31st... I arrived on December 31st, and I was there for almost the entire month of January, so I was in Georgia for New Year's Day and Christmas³. We celebrate Christmas on January 7th, because Georgia is an Orthodox [Christian] country, and generally, for Christmas... Like⁴, Christmas is celebrated very differently in Georgia compared to, for example, America and Europe, because gifts and... We give gifts to one another more at New Year. Christmas is more of a religious holiday. So, on January 6th people usually go to church and greet Christmas in the church at midnight, and some people even stay in the church until six or seven in the morning. And if you, say, didn't manage to go to church at night, you go already⁵... You go to church on the 7th, you light a candle. And Christmas is also a family holiday. Like... That's the kind of concept that is the same in America, that families get together and dine together, and on the whole, the main focus is still on religion and family and God on Christmas Day.

² In colloquial Georgian, people will often say მარა instead of მაგრამ. It is not grammatically correct, but it is very acceptable in spoken form.

³ The Georgian expression for saying where you were for these holidays is “to meet New Year and Christmas,” because Georgians usually stay up on both New Year's Eve and Christmas Eve “to meet” the coming year. There is also a toast for seeing off the Old Year and greeting the New Year.

⁴ The word ანუ is directly translated as “or,” but in colloquial Georgian it is used as “like” or “so” is used in English. In this context, it doesn't really hold a specific meaning and is more of a filler word.

⁵ The word უკვე is very generously used in Georgian. It doesn't necessarily carry the full meaning of “already.” It is often used as a filler word.

I: Very good. For example, how did you spend last Christmas?

R: On January 6th I went to the Holy Trinity church... In the Holy Trinity... To the Holy Trinity church with my friends. And we went at around 11pm, and there were already so many people. The entire church was packed. Generally speaking, the Holy Trinity is the biggest church in Georgia, and still, it was so full that you couldn't even go inside, and even outside, there were so many people. The clock struck midnight, and soon the Patriarch came⁶. And then already, the Patriarch... This... In the Holy Trinity there are a lot of steps⁷, and he walked up those steps and went into the church and began the Mass. Unfortunately, we couldn't go inside the church because there were too many people. Generally, during such religious holidays, generally, there are a lot of people in churches, and they usually put speakers outside so that if there are people in the courtyard, they can still hear everything. Unfortunately, for Christmas, they didn't have these speakers, but we could still hear things like certain prayers, etc. and... Christmas is a remarkable holiday, and in Georgia this day is celebrated in a very special way. When we were going to the Holy Trinity on Christmas Eve, the taxi dropped us off by the Avlabari Metro, because there were too many people in the church and the roads were closed off, because they physically could not let any more cars through. And we had to walk up to the church, and it was such an interesting and remarkable thing to see, because there was an entire sea of people all going to the Holy Trinity. And there were just so many people, and you could feel that everyone was in such a special mood. Already on the 7th, we had a Christmas family dinner.

About CultureTalk: CultureTalk is produced by the Five College Center for the Study of World Languages and housed on the LangMedia Website. The project provides students of language and culture with samples of people talking about their lives in the languages they use every day. The participants in CultureTalk interviews and discussions are of many different ages and walks of life. They are free to express themselves as they wish. The ideas and opinions presented here are those of the participants. Inclusion in CultureTalk does not represent endorsement of these ideas or opinions by the Five College Center for the Study of World Languages, Five Colleges, Incorporated, or any of its member institutions: Amherst College, Hampshire College, Mount Holyoke College, Smith College and the University of Massachusetts at Amherst.

© 2013 Five College Center for the Study of World Languages and Five Colleges, Incorporated

⁶ Literal translation of this Georgian phrase would be “when the clock struck midnight and the first hour began, the Patriarch came.”

⁷ The interviewee is referring to the steps that you need to walk up in order to get to the church.